პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის N36 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29.07.2022, №010250020.35.123.016628), კერძოდ დადგენილების N1 დანართის (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი) მე-4 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 4. შეფასების პროცედურები

1. დროებითი საცხოვრისის უზრუნველყოფისათვის უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა რიგითობა განისაზღვრება კომისიის მიერ მინიჭებული შეფასების საფუძველზე.

2. უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა შეფასება ხდება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული მოქმედი დოკუმენტის საფუძველზე, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით:

ა.ა) ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არის 20 000-დე - 4 ქულა;

ა.ბ) ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არის 20 001-დან 65 000-დე - 3 ქულა;

ა.გ) ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არის 70 001-ზე ნაკლები – 2 ქულა;

ა.დ) ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არის 100 001-ზე ნაკლები – 1 ქულა;

ა.ე) ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არის 100 001-ზე მეტი – 0 ქულა.

ბ) შშმ პირი:

ბ.ა) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები – 3 ქულა;

ბ.ბ) მნიშვნელოვნად გამოხატული ან/და 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები – 2 ქულა;

ბ.გ) ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები – 1 ქულა.

გ) არასრულწლოვან პირთა (18 წლამდე) რაოდენობა ოჯახში:

გ.ა) 1-დან 3-ის ჩათვლით – 2 ქულა;

გ.ბ) 3-ზე მეტ პირზე – 3 ქულა.

დ) სახელმწიფო პენსიის მიმღები პირები – 1 ქულა;

ე) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე, ობოლი ან/და მარჩენალდაკარგული პირი – 3 ქულა.

ვ) მარტოხელა - პირი, რომელსაც ოჯახში არავინ ჰყავს (მარტო მცხოვრები პირი, უქმრო ან უცოლო) 3 ქულა.

ზ) ონკოლოგიური დაავადების (ავთვისებიანი სიმსივნე) მქონე პირები - 2 ქულა.

თ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირები (შემაკავებელი ან დამცავი ორდერის საფუძველზე) - 3 ქულა.

3. შეფასების საბოლოო ქულა დგინდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით მინიჭებული ქულების შეჯამებით.

4. მინიჭებული ქულა არის კომისიისათვის სარეკომენდაციო ხასიათის. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისია მსჯელობის შედეგად.

5. დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფისათვის უსახლკაროდ რეგისტრირებული პირების რიგითობა დგინდება ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მინიჭებული საბოლოო ქულების სიდიდის მიხედვით.

6. უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა შეფასების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კომისია სრული შემადგენლობის უმრავლესობით არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

7. ამ წესის მე-3 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით რეგისტრირებული პირები დროებითი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას ექვემდებარებიან დაუყოვნებლივ, მე-4 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული შეფასებისა და რიგითობის გარეშე.

8. ყოველი შემდგომი შეფასება მოხდება წინა შეფასებიდან ორი წლის შემდეგ, ქუთაისის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებისა და არსებული საცხოვრებელი ფართების რესურსების შესაბამისად.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა
რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის
წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის N36
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს სოციალური საცხოვრისის პროგრამის მეორე ეტაპი. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 113-ე მუხლის, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N391 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 20 აგვისტოს N3746 ბრძანებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში, დამატებითი ქონების სახით გადმოეცა ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას ქუჩის N2-ში მდებარე 1074.0 კვ. მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობით (ს/ კოდის N03.05.04.132). ქუთაისის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული შენობა, სათანადო ადაპტაცია-რეაბილიტაციის შემდეგ, გამოყენებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა საცხოვრისთან დაკავშირებული საკითხის მოსაგვარებლად.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის N36 დადგენილებით დამტკიცებული იქნა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციის და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“, სადაც განისაზღვრა რეგისტრაციის კრიტერიუმები, პროცედურები და საცხოვრისით დაკმაყოფილების პირობები. ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 8 სექტემბრის N№44.442222029 ბრძანებით „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალური საცხოვრისის პროგრამის მეორე ეტაპის დაწყებასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალური საცხოვრისის პროგრამის მეორე ეტაპის ფარგლებში, უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზურუნვეყოფის მიზნით გამოცხადებული იქნა კონკურსი, კონკურსში მონაწილების მიღების მსურველები აღმოჩნდნენ მარტოხელა ონკოლოგიური დაავადების მქონე და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირები, რომლებმაც კონკურსში მონაწილეობის უფლება ვერ მოიპოვეს ზემოთ მითითებული დადგენილებით დადგენილი წესის მოთხოვნებიდან გამომდინარე

რაც მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის N36 დადგენილებით დამტკიცებულ N1 დანართში.

წინამდებარე დადგენილების პროექტის მიღების ძირითად მიზეზს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ფ" ქვეპუნქტით, „სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უსახლკარო მოსახლეობის პირობების გაუმჯობესების მიზნით, კანონშესაბამისი ღონისძიებების გატარება.

ბ. პროექტის მიღების მიზანი:

დადგენილების პროექტის მიღების მიზანია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებული პროცედურების სრულყოფა.

2. დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ა) პროექტის მიღებასთან და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

ბ) პროექტის გავლენა ადგილობრივ ბიუჯეტზე:

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაღებული იქნება მხოლოდ პროექტის მიღებასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები.

3. დადგენილების პროექტის ინიციატორი:

დადგენილების პროექტის მიღების ინიციატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი იოსებ ხახალეიშვილი.

4. დადგენილების პროექტის შემდგენელი:

დადგენილების პროექტი შეადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ბატონმა ირაკლი ქარქაშაძემ.

5. საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტის წარმომდგენი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტს წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი ირაკლი ქარქაშაძე.

იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი